ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5117558

ნომერი: AR1767645

თარიღი : 13.08.2020

გაცემის თარიღი : 25.09.2020

გაცნობის თარიღი : 25.09.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 238ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ვაშაკიძე პ/ნ 01024003923
- თბილისი ატენის ქ. N 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს: რადგან შეიცვალა საპროექტო შენობის ადგილმდებარეობა და მოცემულ ტერიტორიაზე სამსახურის №708793 (28.05.2013წ) ბრძანებით შევიდა ცვლილება ცვლილება 2012 წლის 26 ივლისის #275980 26.07.2012წ. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ახალი საკადასტრო გეგმების დაფიქსირებით (##01.72.14.006.638, 01.72.14.006.637, 01.72.14.014.633); ასევრე შეთანხმდა: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ–ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკად. კოდი #01.72.14.006.638, 01.72.14.006.637, 01.72.14.014.633) შერეული ფუნქციის (სასაწყობე, საოფისე, სავაჭრო) კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. რომლის მე 4.პუნქტით განისაზღვრა , რომ საპროექტო ტერიტორიის განვითარება მოხდეს შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესაბამისად; ვინაიდან აღნიშნულ პროექტში თქვენს მიერ მონიშნული ტერიტორია განსაზღვრულია გამწვანებისათვის განკუთვნილ კუმბულად, სამსახური წარმოდგენილი სქემით მოცემულ ადგილზე თქვენს მიერ დაგეგმილ სამუშაოებს ვერ მიცემს დადებით შეფასებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“ და შესაბამისად სამსახური ვერ მიიღებს საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.